18/11/2019

იერუსალიმის ჯვრის მონასტერი

ქართული მწერლობისა და, საერთოდ, ქართული კულტურის ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი იყო ჯვრის მონასტრის დაარსება იერუსალიმში. მონასტერი ქართველებისთვის ერთ-ერთი უდიდესი საგანმანათლებლო კერა იყო და დღესაც უძვირფასესი სიწმინდეა წმიდა მიწაზე.

მონასტრის მდებარეობა

ჯვრის მონასტერი ადრე იერუსალიმიდან ოდნავ მოშორებით სამხრეთ-დასავლეთით იდგა, ახლა კი ქალაქის გაზრდის შედეგად მის ტერიტორიაზეა. იგი იერუსალიმის პრესტიჟულ და ძვირად ღირებულ რაიონში — მალხაში. მასთან ახლოსაა ისრაელის პარლამენტი — ქნესეთი. მონასტერი აგებულია ზეთისხილისბაღნარში და ადრე არ შედიოდა ძველი ქალაქის საზღვრებში, მაგრამ ახლა მალხა ახალი იერუსალიმის ერთ-ერთ ცენტრალურ უბნად მიიჩნევა.

სამონასტრო კომპლექსი

დღესდღეობით ჯვრის მონასტერი ესაა მაღალი გალავნით გარედან შემოსაზღვრული, პატარა ციხე-ქალაქი თუმცა, ერთადერთი შესასვლელი კარი ადამიანის სიმაღლეზე უფრო დაბალია. გალავნის შიგნით არის მეტად რთული, სამ და ოთხსართულიანი ნაგებობების კომპლექსი. ძალიან დიდ ტერიტორიაზე დაახლოებით 270-მდე სათავსო და დამხმარე ნაგებობაა. კომპლექსის ძირითადი ტაძარი ჯვარგუმბათოვანია, ტაძრის იატაკი მთლიანად იყო შემკობილი მოზაიკით და მოხატული ქართული ფრესკებით.

წარწერა,



მონასტრის ისტორია

IX ს. შუა წლებში პალესტინაში შეიქმნა ერთგვარი პირობები სამონასტრო ცხოვრებისათვის. იმ დროისათვის ქართველი მოღვაწეები მრავლად იყვნენ

იერუსალიმისა და მისი მიდამოების ეკლესია–მონასტრებში, მაგრამ არ არსებობდა მძლავრი ცენტრი, რომელიც უხელმძღვანელებდა პალესტინის სავანეებში გაფანტულ ქართველობას, სათავეში ჩაუდგებოდა და ორგანიზებულად წარმართავდა მის საზოგადოებრივ და კულტურულ საქმიანობას. ასეთი ცენტრის არსებობა კი აუცილებელი იყო წინაპართა ღვაწლის წარმოსაჩენად და ქართველთა უფლებების დასაცავად ე წ. წმინდა ადგილებზე. ამასთანავე საქართველოს პოლიტიკურმა აღმავლობამ განაპირობა ქართველი საზოგადოებრიობის განსაკუთრებული ყურადღება პალესტინისადმი და მოამწიფა საკითხი ახალი სავანის დაარსებისა. მართლაც იერუსალიმის ახლოს აშენდა ჯვრის მონასტერი სადაც თავი მოიყარა ქართველთა დიდმა ჯგუფმა, იგი იქცა პალესტინელი ქართველების მთავარ შესაკრებ ცენტრად და პილიგრიმთა საიმედო თავშესაფრად.

მონასტრის ისტორია უკავშირდება ბიბლიურ თქმულებას, როდესაც ლოთი დაეცა თავის შვილებთან, ღვთისგან შენდობის ნიშნად აბრაამმა მას გადასცა სამი ხმელი ტოტი: ფიჭვის, ნაძვისა და სოჭის. ლოთს უნდა მოერწყა ეს ტოტები და, ღვთისგან პატიების ნიშნად, ერთი ხე აყვავდებოდა, ზუსტად ასე მოხდა: აქ ამოვიდა ხე, რომელიც მოჭრეს სოლომონის ტაძრის მშენებლობის დროს, მაგრამ, მერე დაიწუნეს და გადეს მდინარეზე, როგორც ხიდი. ღვთის განგებულებით სწორედ ამ ხისგან დამზადებულ ჯვარზე გააკრეს მაცხოვარი. ჯვრის მონასტერში შემონახულია ადგილი, სადაც ეს ხე გაიზარდა. პირველი ცნობები მონასტრის ტერიტორიის შესყიდვის შესახებ უკავშირდება მეფე მირიანს, რომელიც ქართლის გაქრისტიანების შემდეგ, წმიდა ნინოს რჩევით, ჩადისბიზანტიაში, მოინახულებს კონსტანტინე დიდს, შემდეგ კი შეისყიდის ამ ტერიტორიას და იქ ააშენებს სამლოცველოს. V საუკუნეში იერუსალიმში ჯარით შევიდა ვახტანგ გორგასალი, რომელსაც თან ახლდნენ დედა და და. სწორედ მის მიერ ხდება ჯვრის მონასტრის ადგილას არსებული სამლოცველოს გადიდება და დამშვენება, ვახტანგ გორგასალმა ტაძრის მცველად სოფელ მალხაში დატოვა 600 ქართველი. გადმოცემის მიხედვით, ისინი თავიანთ თავს „გურჯებს“ უწოდებდნენ და მათი მოვალეობა იყო, დაეცვათ ჯვრის მონასტერი. დროთა განმავლობაში მალხელები გამაჰმადიანდნენ, თუმცა მონასტერზე მზრუნველობას ასრულებდნენ მალხელები. ბოლო პერიოდში ქალაქის ზრდასთან ერთად საჭირო გახდა სოფელ მალხაზე მაგისტრალის გაყვანა რის გამოც მოსახლეობა გადაასახლეს. უკანასკნელი მალხელი ჯერ კიდევ სიცოცხლეში ინახულა პროფ. თამილა მგალობლიშვილმა, რომელიც ჯვრის მონასტრის უკანასკნელი კლიტეთმპყრობელის ქალიშვილი იყო და ცხოვრობდა ბეთლემის მონასტერში. აღნიშნული ოჯახს 1936 წელს შეხვედრია გრიგოლ ფერაძე იერუსალიმში მოგზაურობისას. სოფელ მალხასთან არსებობდა ქართული სოფელი კატამონი.

საუკუნეების განმავლობაში აქ იყო ქართველთა სამლოცველო, ჯვრის მონასტრის აღორძინების პერიოდი იწყება XI საუკუნის ოცდაათი წლებიდან. მონასტერი აიგო XI ს-ის I ნახევარში, ბაგრატ IV მეფობის (1027-1072) წლებში მისივე ფინანსური

მხარდაჭერითა და საბაწმიდელი მოღვაწის, გიორგი-პროხორეს, ხელმძღვანელობით. ტაძრის შენება პროხორეს დაუწყია ექვთიმე მთაწმინდლის ბრძანებით. მონასტრის მშენებლობა დაახლოებით 20 წლის განმავლობაში გაგრძელდა.

ჯვრის მონასტერი იყო არა მხოლოდ საეკლესიო-საგანმანათლებლო ცენტრი, არამედ ქართული სახელმწიფოს ძლიერი საყრდენი აღმოსავლეთში. პალესტინაში გავლენის მოპოვება ხომ ქრისტიანული სახელმწოფოს საერთაშორისო პოლიტიკურ სტატუსზე მეტყველებდა. ამიტომაც ჯვრის მონასტერი ქართული ეკლესიისა და სახელმწიფოს საგანგებო მზრუნველობის საგანს წარმოადგენდა.

1071 წ-ს იერუსალიმის აღებისას, მონასტერი დაარბიეს და ნაწილობრივ დაანგრიეს თურქ-სელჩუკებმა. XII ს-ში მეფე დავით აღმაშენებლის მხარდაჭერით აღადგინეს, განაახლეს და მოხატეს. ჯვრის მონასტერს მძიმე პერიოდი დაუდგა XII საუკუნის ბოლოს, როდესაც იერუსალიმი აიღო ეგვიპტის სულთნმა სალადინმა (სალაჰ ალ-დინი), მანამდე იერუსალიმის მეფე ბალდუინ IV-მ გაზრდილი გადასახადებით შეავიწროვა ჯვრის მონასტერი და ზვრების ნაწილიც კი წაართვა. 1187 წელს სალადინმა მიიტაცა ჯვრის მონასტერი. 1192 წელს მემატიანის გადმოცემით, სალადინს დესპანი გაუგზავნა თამარ მეფემ, რათა გამოესყიდა ჯვრის მონასტერი და 200 000 დინარიც შეაძლია იმისთვის, რომ დაებრუნებინა ძელი პატიოსანი. საქართველოს სამხ. – პოლიტ და ეკონ. პოტენცია მნიშვნელოვნად განაპირობებდა ჯვრის მონასტრის პრივილეგიების შენარჩუნებასა და მის შემდგომ დაწინაურებას. 1273 წელს, შეიხ ხიდრის ბრძანებით, ჯვრის მონასტერი მეჩეთად გადაკეთდა, მაგრამ, 1299 წელს, როცა იერუსალიმი აიღო მონღოლთა ხანმა, ყაზანმა, მას ეხმარებოდა ქართული ჯარი ვახტანგ III-ის მეთაურობით, ქრისტიანებს იმ წელსვე მიეცათ საშუალება, რომ აქ აღდგომა ეზეიმათ. მეფე დავით VIII-ის მცდელობით იგი ქართველებს დაუბრუნდა. მონასტერი აღადგინეს და განაახლეს. 1400 წ-ს ჯვრის მონასტერი კვლავ დაარბიეს. XV ს-ში მონასტერს მატერიალური დახმარება გაუწიეს ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილმა და მზეჭაბუკ ათაბაგმა. მონასტერში აღმშენებლობითი საქმიანობა გააჩაღა სერაპიონ კუმურდოელმა. 1516 წ-დან მას შემდეგ, რაც პალესტინა ოსმალებმა დაიკავეს, სირია--პალესტინის მმართველი თურქი ფაშები ძალზე უმოწყალოდ ძარცვავდნენ პილიგრიმებს. მათ დიდი გადასახადი შეაწერეს ქრისტიანულ ტაძრებსა და მათ კრებულებს (ეს გადასახადი გვიან ხანამდე იკრიფებოდა). ადრე შედარებით უკეთეს მდგომარეობაში მყოფ ბერძნებსაც გაუჭირდათ; ამის გამო იერუსალიმის მართლმადიდებლური ეკლესიის საჭეთმპყრობლის - პატრიარქის რეზიდენცია (XVII საუკუნის დასაწყისში) კონსტანტინოპოლში გადაიტანეს. გასაგებია, რომ შექმნილმა ვითარებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ჯვრის სავანეც. ამან კი, თავის მხრივ, შეაშფოთა ქართველები

XVI ს-ის II ნახევრიდან საქართველოში ჩამოყალიბდა ჯვრის მიწათმფლობელობა, რითაც ქართველი მეფეები ცდილობდნენ გაეხანგრძლივებინათ და ხელი შეეწყოთ

ქართული ბერმონაზვნობის მოღვაწეობისათვის წმინდა მიწაზე. პილიგრიმობა ჯვარზე ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა და მეფე-დიდებულთა მოვალეობად ითვლებოდა. შემთხვევითი არაა, რომ სწორედ აქ, ამ მონასტერშია გამოსახული XII-XIII სს-ის ქართველი პოეტის, შოთა რუსთველის, ფრესკაც. XVII ს-ში ქართველთა ყურადღება ჯვრის მონასტრისადმი გაიზარდა. 40-იან წლებში აქ დიდი აღდგენითი სამუშაოები ჩაატარა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა (ნიკიფორე ირბახი). სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის მატერიალური დახმარებით შეაკეთა მთავარი ტაძარი. მოახატვინა კედლები, გუმბათი და სხვა., 1684 დავალიანებული მონასტერი დაიხსნა ქართლის მეფე გიორგი XI-მ.

XVIII საუკუნეში იერუსალიმის ქართული კოლონიის ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობის დაცემა უკავშირდება საქართველოს პოლიტიკური დაშლას და ქვეყნის გაღატაკებას, როდესაც საშუალება აღარ ჰქონდათ მათ ეკლესია--მონასტრებზე შეწერილი გადასახადი ეხადათ თურქებისათვის. ამის გამო ვეღარ შეძლეს შეენარჩუნებინათ ზოგიერთი მონასტერი. აღსანიშნავია ისიც, რომ პალესტინაში ქართველთა გავლენის დასუსტებაში უარყოფითი როლი ითამაშეს ბერძნებმა, რომლებიც კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ თურქების ქვეშევრდომები გახდნენ. ბერძნებმა ქართველები მშობლიურ სავანეებს ჩამოაშორეს, დაიწყეს მათი შევიწროვება, საბოლოოდ კი მთლიანად ჩამოართვეს განმგებლობა. ქართულ ტაძრებს უცხოელები ფლობდნენ, პილიგრიმთა რიცხვი კიდევ უფრო შემცირდა. იერუსალიმის ქართული კოლონიის დაკნინებამ შეაშფოთა ქართველობა. ქართველთა ეროვნული ღირსების შებღალვითა და ეროვნულ სავანეთა დაკარგვით აღშფოთებული „წმიდა საფლავსა და სისხლ-მეწამულს გოლგოთას მდგომი, მლოცველი, საბრალო... მონაზონი მართა“ დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსს გრიგოლს (1696--1742) გულისტკივილით აცნობებდა იერუსალიმის ქართული სავანეების მძიმე მდგომარეობას, მტრის მოძალებას, მის მიერ ქართულ სიძველეთ ვერაგულად მიტაცებას.ამონარიდი წერილოდან:

„ამისთანა რა გასაჭირი არის, რომ აქაურობა ასრე დავკარგეთ? ეგებ არ მოხსენებოდეს, თვარემ საქონელი და სიმდიდრე ორივე აქ არის, ეს სოფელიც და მერმეცა. აქაური ამბავი ამ ჩემმან შვილმან ვერ ნახა, თუ რა დიდი გაჭირვება არის მაგისთანა, რომ მონასტერი ასრე დავკარგეთ? ბატონი კათალიკოზი მაქსიმე კაცი არ იყო, რომ ნაწილ სასუებელ არს მისი სახელი? აგრე იქნება? წამობრძანდით, ამათა აღარ უნდა ჩვენი კაცი, რომ მონასტრები საქართველო ამათ ჩაიგდეს ხელად და ჭამენ. რა უანგარიშო საქონელი გამოზიდეს ჩვენის მონასტრების!.. ნუ იქთ, ნუ დაკარგავთ ამ მეუფის სახლს. ყოველი სული ამისთვის კვდების, რომ აქ ერთის ტრაპეზის დასადები ადგილი იშოვნოს, და თქვენ სულ იერუსოლიმი დაკარგეთ! ეს წმიდა ადგილი სრულიად ქართველის ყოფილა, და ეხლა ლამის რომ სულა გამოვ[ა]რდეთ: წმიდას საფლავზედ ფრანგნი ჟამს სწირავს. ერთის სიტყვით მისცა ხვანთქარმა და ასრე უბრძანა: „რაც გურჯის ბატონების ზიარეთი და სალოცავი იყოსო, არა კადროთ რამეო“.

ხმა დიდი არის მაგ ბატონების და ხათრიც, მაგრამ ერთი ელჩი რომ გამოგზავნოთ სტამბოლს, რა იქნება? დიდი სირცხვილი არ არის ეს, რომ პატიოსანი დიდი წმიდა იაკობის მონასტერი სომხებმა იშოვნეს? ხვანთქარი მოატყუეს და ახლა სომეხს აქუს. ბეთლემი ფრანგმა აიღო, მაგრამ მაგათი შიში და მოლოდინი აქუს და ჩვენი სამწირველო ისევ მორთული არის; თუ არ მოხვალთ, და[ა]ქცევენ. საბრალო პატრიარქმა რა ქნას, თუ ქრისტიანი არ მიუდგებით? ერთი ელჩი გამოგზავნეთ ხვანთქართან, ისრევ მოგცემსთ. უსაცილოდ გოლგოთასაც და გესამანიას დაიჭირავს ფრანგი, თუ არ მოეშველებით. ამათი კერძი გოლგოთა დაიჭირა, ჩვენი ჯერ კარგად არის. ერთი თავი ჯვარის მამა გაიჩინეთ, რომ წამოვიდეს. ან ერის კაცი, ან ბერი გამოაშურეთ ამ ქვეყანას, თვარემ წახდა საქმე. უსათუოდ შავის ზღვით გამოაგზავნეთ კაცი და საპატრიარქოშიდ სტანბოლოს მოვიდეს, და იქიდამა ვეზირი ნახოს. თუ ასრე არა იქთ, ეს მონასტრები და იერუსალიმი დაგეკარგვიან. ნუ იქთ, სხვას ნუ უყურებთ. თავისის ფეხით იარეთ და ვინც ბატონები იყოს, ან გურიას, ან ოდიშს, იმერეთს და ქართლით, პირობა დასდევით და ამგვარად კრება და ვეზირობა ქენით. თუ იერუსალომი დაგეკარგვიან, რასღა სჯული და ან რასღა პირჯვრის წერა გექნებათ...“

ქართველებმა ჯვრის მონასტერი საბოლოოდ XVII-XVIII სს-თა მიჯნაზე დაკარგეს. 1749 წლისთვის მონასტერს და მის ქონებას მთლიანად ბერძნები დაეუფლნენ. სწორედ ამ პერიოდის ჯვრის მონასტერს აღწერს რუსი მოღვაწე წმინდა მატრონას მონასტრის ბერი სერაპიონი: “ამჟამად იქ არც ერთი ქართველი არ არის, მონასტერი ქართველებს ეკუთვნოდა, რადგან ხატებიდა წარწერები ამ ხატების ქვეშ ქართულია; უფრო მეტიც, იქ ბევრი ქართული წიგნია. მონასტერი ამჟამად ბერძნებს უჭირავთ”. 1855 წ. აქ ბერძნული სასულიერო სემინარია გაიხსნა, რომელიც 1908 წლამდე მოქმედებდა. ბერძნული სამღვდელოება ჩქმალავდა ჯვრის მონასტრის ქართულ კულტურასთან კავშირსა და ქართველთა მოღვაწეობის ფაქტებს, ფრესკები საგანგებოდ შეათეთრეს 1948-58 წწ-ში ისრაელის ჯარის ნაწილი იდგა მონასტრის ტერიტორიაზე.

მონასტერში მოღვაწე მამები
გიორგი პროხორემ მონასტრის დაარსების შემდეგ შემოიკრიბა მწიგნობრები იოანე და მიქაელ დვალები, არსენ იყალთოელი, შავი იოანე, მიქაელ მირიანისძეს, გაბრიელ საყვარელი და სხვა. რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს ჯვრის მონასტრის ბიბლიოთეკას, ხელი შეუწყვეს ყველა მნიშვნელოვანი სიახლის თარგმნასა და გადაწერას და ამ წიგნთა გავრცელებას არა მხოლოდ პალესტინაში მოღვაწე ბერ-მონაზონთა შორის, არამედ საქართველოში არსებულ ეკლესია-მონასტრებშიც. ჯვრის მონასტერი ისევე, როგორც ივირონი, იქცა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად.

XVI ს. აქ მოღვაწეობდნენ დეონა ჩოლოყაშვილი, ზოსიმე კუმურდოელი და სხვა. ასევე ბარნაბა სინელი და ვლასი ურბნელი.

XVII ს. ქართველთა ყურადღების და დახმარების გაზრდის შემდეგ მონასტერზე ძველი უფლებების აღდგა. ჯვარს ახალი წინამძღვარი გამოუჩნდა ეს იყო ნიკოლოზ

ჩოლოყაშვილი ანუ ნიკიფორე ირბახი. მან გააძლიერა ჯვარი და შეალია მას დიდი ენერგია, მაგრამ დაღმავალ გზაზე მდგარ კოლონიას მაინც არაფერი ეშველა.

სამწიგნობრო მოღვაწეობა მონასტერში
ჯვრის მონასტრის ბიბლიოთეკის შექმნაზე ზრუნვა გიორგი-პროხორემ მონასტრის მშენებლობის დასრულებამდე ბევრად ადრე დაიწყო. ჯვრისათვის განკუთვნილი ხელნაწერი წიგნები გადაიწერა საბაწმიდის მონასტერში, სინის მთაზე, ანტიოქიაში – შავი მთის სავანეებში, ხოლო მშენებლობის დასრულების შემდგომ გაგრძელდა თავად მონასტერში. იმის გამო, რომ იერუსალიმელ ქართველთა შემოქმედებითი მუშაობა რამდენადმე შეზღუდული იყო. ჯვრის სავანე ძირთადად კალიგრაფთა კერას წარმოადგენდა; გიორგი-პროხორეს დავალებითა და ხელმძღვანელობით იოანე და მიქაელ დვალებმა გადაწერეს გრიგოლ ღვთისმეტყველის, ბასილ დიდისა და სხვათა თხზულებანი, დეკემბრის თვენი და ა შ. პროხორე ზრუნავდა აგრეთვე პალესტინის გამოჩენილ მოღვაწეთა ცხოვრების კრებულის შედგენაზე, მისი თაოსნობით შეიქმნა პალესტინის პატერიკის ქართული ნუსხა, რომელიც მრავალი ძეგლის თარგმანს შეიცავს. მასში შესულია წმინდა მამების სტეფანეს, ნიკონისი, იოანე უჰაელისაი, საბაისი და სხვა რომელიც ამჟამად ლონდონშია დაცული ის დაუმზადებია შავ იოანეს 1034–42 წ. პროხორე თვითონაც იღებდა მონაწილეობას ხელნაწერთა დამზადებაში. ბიბლიოთეკაში ინახება კრებული რომელშიც წარმოდგენილია წამებაი და ცხოვრებანი წმინდისა კონონისი და ძმისა მისისაი, წამებაი გიორგისი, ცხოვრება წმინდისა პელაგიასი, ცხოვრებაი დედისა რიფსიმესი და სხვა, ეს კრებული გვევლინება როგორც გ პროხორეს გადაწერილ–შემოსილად, ასევე მან გადაწერა მრავალთავის ნაწილიც. აქვე გაბრიელ საფარელმა გადაწერა პარაკლიტონი 1061 წ. და სახარება 1062 წ.

XII საუკუნეში აქ მოღვაწეობდა არსენ იყალთოელი, ასევე მიქაელ მირიანისძეს რომელბმაც 1141–54 წ. გადაწერა სტოდიერი და გიორგი ბერი რომელმაც 1155 წ. გადაწერა გიორგი ათონელის დიდი სვინაქსარი.

XIV ს. დამდეგს შეიქმნა ნიკოლოზ დვალის მარტვილობა, ავტორი უცნობია XIV ს. მეორე უცნობმა მწერალმა კი დაწერა ლუკა მუხაისძის წამება.

XV––XVI ს. მონასტერში მოღვაწეობდნენ დეონა ჩოლოყაშვილი, ზოსიმე კუმურდოელი ბარნაბა სინელი, ვლასი ურბნელი და სხვ.

დღეს ჯვრის მონასტერიცა და ქართულ ხელნაწერ წიგნთა კოლექციაც იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს მფლობელობაშია.

სამეცნიერო ექსპედიციები და მოგზაურები
ოდესღაც უდიდესი და უმდიდრესი ბიბლიოთეკის ნაშთიღა ინახება იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში. ამჟამად აქ დაცულია 155 ქართული ხელნაწერი. იერუსალიმური წარმოშობის ზოგი ხელნაწერი ამჟამად ინახება თბილისის,

ვენის, ვაშინგტონის, პეტერბურგის სიძველეთსაცავებში, ზოგის ადგილ-სამყოფელი კი უცნობია

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ხელნაწერების შესწავლის შესაძებლობა ქართველე მეცნიერებს XIII საუკინიდან მიეცათ. ჯვრის მონასტერში სხვადასხვა დროს იმოგზაურეს, იქაური ხელნაწერები აღწერეს, შეისწავლეს და მათ არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიუძრვნეს: ტიმოთე გაბაშვილმა, ალექსანდრე ცაგარელმა, ნიკო მარმა, რობერტ ბლეიკმა,გორი ავალიშვილმა, ნიკო ჩუბინაშვილმა, პეტრე უსპენსკიმ, კ.ორნელი კეკელიძემ, გრიგოლ ფერაძემ, კალისტრატე სალიამ და სხვა.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ექსპედიცია ჯვრის მონასტერში მოეწყო 1960 წელს. ესპედიციის წევრები იყვნენ: ირაკლი აბაშიძე, აკაკი შანიძე და გიორგი წერეთელი.

ნაწყვეტი ირაკლი აბაშიძის “პალესტინის დღიურიდან“:“მივედით ჯვარის მონასტერთან. სულგანაბულნი მივადექით გალავნის დაბალ, მაგრამ უზარმაზარ ქვებში მოთავსებულ რკინის კარებს, ზედა საბელით დაკიდებული რკინის ჩაქუჩით დავაბრახუნეთ. ცოტა ხანიც და... სადღაც შორიდან გამობმულმა მავთულმა გადასწია რკინის ურდული. გალავნის კარები გაიღო... მე არ ვიცი, რომელი ჩვენთაგანი უფრო ვაჟკაცურად შევიდა მონასტრის გალავანში. შევედით კი სამივე... სამასი წელი მაინც იქნება, ქართველთაგან აქ არავის უგალობნია“...

მეცნიერებმა იცოდნენ, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე შოთა რუსთაველის ფრესკა რომ იყო გამოსახული. XIX საუკუნეში ის ნიკოლოზ ჩუბინაშვილმაც ნახა, მაგრამ მას შემდეგ ჩასულმა მოგზაურმა პეტრე კონჭოშვილმა,

ასევე-ნიკო მარმა და სხვებმა ფრესკას ვეღარ მიაგნეს. როგორც ჩანს, უკვე შავი საღებავით იყო დაფარული.

მეცნიერებმა საწადელს მიაღწიეს და ტაძრის ერთ-ერთ მთავარ სვეტზე იოანე [illegible]ს შორის გამოსახული შოთა რუსთაველის



ნაწყვეტი ირაკლი აბაშიძის “პალესტინის დღიურიდან“: “წმიდანთა შორის დარჩენილი ადგილი დღეს მთლიანად ლურჯი, შავი საღებავითაა დაფარული, მაგრამ აი აქ, ეტყობა, რაღაც უნდა ყოფილიყო და შემდეგ შეგნებულად წაუშლიათ... ერთგან, საღებავის ქვეშ, რაღაც ძნელად გასარჩევი კვალია ამობურცული... სანთელს ვანთებთ და ამობურცულ ადგილს გვერდიდან ვაშუქებთ... ჩვენი მეცნიერები ხმადაბლა, დაფარული მღელვარებით კითხულობენ: “ამსა დამხატ“... აქაა წარწერა, ცნობილი წარწერა, მივაგენით... აქ კიდევ რაღაც არის ამობურცული. ეს ხომ თითებსა ჰგავს...”

აქ მოპოვებული მასალით დასტურდება, რომ იგი იყო მეჭურჭლეთუხუცესი თამარის კარზე. ლეგენდის თანახმად, პოეტი გარდაიცვალა ჯვრის მონასტერში, თუმცა ეს ვერსია სადავოა. 2002 წელს დიდი ქართველი პოეტის გამოსახულება ვანდალიზმის მსხვერპლი გახდა.

დღესდღეისობით იერუსალიმს ჯვრის მონასტერი საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესის შემადგენლობაში შედის.

edutime.ge